როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და (ჯოჯოხეთის) ცეცხლი, მან გააგზავნა ჯიბრილი (მშვიდობა მას)

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და (ჯოჯოხეთის) ცეცხლი, მან გააგზავნა ჯიბრილი (მშვიდობა მას) სამოთხეში და უთხრა: „დაინახე ის და ის, რაც მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის.» ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის მშვიდობა და კურთხევა მას) თქვა: „(ჯიბრილი) მივიდა იქ, დაინახა სამოთხე და ის, რაც ალლაჰმა მოამზადა მისი მკვიდრებისთვის.» ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის მშვიდობა და კურთხევა მას) თქვა: „(შემდეგ ჯიბრილი) დაბრუნდა ალლაჰთან და თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ვინც კი მოისმენს სამოთხის შესახებ, მასში შევა!“ მაშინ ალლაჰმა ბრძანა, და სამოთხე გარშემორტყმული გახდა იმით, რაც ადამიანურ სულს არ უყვარს, შემდეგ უთხრა (ჯიბრილს): „დაბრუნდი და დაინახე ის, რაც მე მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის». ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის მშვიდობა და კურთხევა მას) თქვა: „(ჯიბრილი) დაბრუნდა და დაინახა, რომ სამოთხე გარშემორტყმული იყო იმით, რაც არ უყვარს ადამიანურ სულს, შემდეგ დაბრუნდა ალლაჰთან და თ ქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ახლა მე მეშინია, რომ მასში არავინ შევა!» შემდეგ ალლაჰმა უთხრა: დაბრუნდი და დაინახე (ჯოჯოხეთის) ცეცხლი და ის, რაც მე მოვამზადე მისი მკვიდრებისთვის». როდესაც მივიდა და დაინახა, რომ ცეცხლის ერთი ნაწილი მეორეზე იყო ამხედრებული, შემდეგ დაბრუნდა ალლაჰთან და თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, ვინც კი მოისმენს მის შესახებ, მასში არ შევა!» შემდეგ ალლაჰმა უბრძანა და ცეცხლი გარშემორტყმული გახდა ვნებებით, შემდეგ უთხრა (ჯიბრილს): «დაბრუნდი მასთან» და ის დაბრუნდა მასთან, და შემდეგ როცა უკან მობრუნდა თქვა: „ვფიცავ შენს სიდიადეს, მე მეშინია, რომ არავინ გადაურჩება მას და უთუოდ შევა მასში".

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ როდესაც ალლაჰმა შექმნა სამოთხე და ჯოჯოხეთი, უთხრა ჯიბრილს ღმერთის მშვიდობა მას: წადი და შეიხედე მასში, წავიდა და შეიხედა მასში, შემდეგ დაბრუნდა, ჯიბრილმა თქვა: „ო, უფალო, ვფიცავ შენს სიდიადეს, ყველა, ვინც მოისმენს სამოთხის შესახებ და იმ ნეტარებების, პატივისა და მადლის შესახებ, რაც მასშია, აუცილებლად მოისურვებს მასში შესვლას, დაუღალავად იშრომებს და შეასრულებს შესაბამის საქმეებს მის მისაღწევად". შემდეგ ალლაჰმა სამოთხე ყველა მხრიდან გარშემორტყა იმით, რაც მიუღებელია ადამიანური სულისთვის — სირთულეებით, რომლებიც ხელს უშლიან ბრძანებების შესრულებას და აკრძალვებისგან თავის არიდებას. ის, ვისაც სურს სამოთხეში მოხვედრა, უნდა გადალახოს ეს ადამიანური სულისთვის საძულველი სირთულეები. შემდეგ უთხრა დიდებულმა და ყოვლისშემძლე ალლაჰმა: ო ჯიბრილ! წადი და შეხედე სამოთხეში, მის შემდეგ რაც გარშემოარტყა სირთულეები, წავიდა და შეხედა მას, შემდეგ დაბრუნდა და თქვა: ო, ღმერთო ჩემო ვფიცავ დიდებას შენსას, მეშინია რომ მასში ვერავინ შევა სირთულეებისა და სიძნლეების მიზეზით, რომელიც მისკენ მიმავალ გზაშია. როდესაც ალლაჰმა

შექმნა ჯოჯოხეთი უთხრა: "ო, ჯიბრილ! წადი და შეიხედე მასში, წავიდა და შეხედა მას, შემდეგ ჯიბრილი მოვიდა და თქვა: ო, უფალო, ვფიცავ შენს სიდიადეს, ყველა, ვინც მოისმენს, რა ხდება ჯოჯოხეთში — ტანჯვა, ტკივილი და წამება, არ მოისურვებს იქ მოხვედრას და შეეცდება, რომ აარიდოს თავი ყველა იმ მიზეზს, რომელიც მას იქამდე მიიყვანს. შემდეგ ყოვლისშემძლე და დიადმა ალლაჰმა ჯოჯოხეთი ვნებებითა და სიამოვნებებით გარშემოარტყა და მათით გაავსო გზა, რომელიც მასთან მიდის, შემდეგ კი უთხრა ჯიბრილს: "წადი და შეხედე მას". წავიდა და შეხედა ჯიბრილმა მას, შემდეგ დაბრუნდა და თქვა: ო, ღმერთო დიდება შენდა შევშინდი და ავღშფოთდი, რომ ვირავინ გადარჩება მისგან; იმის მიზეზით, რაც არის მის ირგვლივ გარშემორტყმული ვნებებით და სიამოვნებებით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65034